მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი №-9

დ. მესტია 27.10. 2021წ

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ. ჯაფარიძე, ზ. ჩართოლანი, შ. ცინდელიანი, მ. ხორგუანი, ვ. ნაკანი, გ. გულბანი, მ. სუბელიანი, თ. ფალიანი, ვ. აფრასიძე, ლ. პირველი, მ. დადვანი, ი. გირგვლიანი, ვ. ჭკადუა, ჯ. ფილფანი, კ. გუჯეჯიანი, ლ. ქალდანი, თ. დადეშქელიანი, ა. რატიანი. ს. ფირცხელიანი, რ. გვარმიანი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ: ზ. ჯაფარიძე, ლ. ფალიანი, ი. რატიანი, დ. ნავერიანი, ზ. დევდარიანი, ი. ჯაფარიძე, ლ. კვიციანი, ი. რატიანი, გ. გელოვანი, ზ. ვიბლიანი, ლ. წერედიანი,

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი თ. ნავერიანი.

სხდომას თავმჯდომარეობდა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჯაფარიძე.

სხდომის მდივანი: მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების მთ. სპეციალისტი მზია ნიგურიანი.

სხდომის დაწყებამდე საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის მიხედვით სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრიდან 20 დეპუტატი.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიესალმა და გააცნო დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. „მესტიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: თ. ნავერიანი. თანამომხსენებელი: რ. გვარმიანი./

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ეყაროს კენჭი ,,მესტიის **მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ოქტომბრის სხდომის დღის წესრიგის** დამტკიცების შესახებ“. წარმოდგენილი რედაქციით.

მომხრე----------20

წინააღმდეგი------0

თავი შეიკავა-------0

კენჭისყრის შედეგად საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

საკრებულომ დაადგინა: მიიღონ განკარგულება ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ოქტომბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება №45 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა თ. ნავერიანმა „მესტიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა ისაუბრა საქართველოს მთავრობის 29.08.2021წლის N1298 განკარგულებით ,,მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდიდან“ მესტიის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილ თანხაზე, რომელიც შეადგენს 214 930ლარს. რომელიც მოხმარდა გზებისა და ხიდების რეაბილიტაციას და მშენებლობას. აგრეთვე საქართველოს მთავრობის N147 განკარგულებით მესტიის მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების რეაბილიტაციისათვის გამოყოფილია 54 496 ლარი. ისაუბრა ჭარბი თანხის გადანაწილებაზე რაც ძირითადად მოხმარდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

ზ. ჩართოლანი: მომავალი წლის ბიუჯეტში თუ არის შესაძლებლობა ომის ვეტერანებზე თანხის დამატება.

რ. გვარმიანი: სვანეთის მასშტაბით არ იქნება რთული ვეტერანთა აღწერა და მომავალი წლისთვის რომ იქნეს გათვალისწინებული. ჭარბი თანხების გადანაწილებაზე საკრებულოს ჩართულობა აუცილებელია, ერთადერთი შენიშვნა რაც საფინანსო კომისიას აქვს ახლანდელ ცვლილებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------20

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, „მესტიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

დადგენილება მიღებულ იქნა
(დადგენილება №27 თან ერთვის)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილული იქნა.
სხდომა გამოცხადდა დახურულად.

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი №-10

დ. მესტია 25.11. 2021წ

<u>სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:</u> მ. ჯაფარიძე, ზ. ჩართოლანი, მ. ხორგუანი, ვ. ნაკანი, გ. გულბანი, მ. სუბელიანი, თ. ფალიანი, ზ. ჯაფარიძე, ვ. აფრასიძე, ლ. პირველი, მ. დადვანი, ვ. ჭკადუა, ჯ. ფილფანი, კ. გუჯეჯიანი, ლ. ქალდანი, თ. დადეშქელიანი, ზ. დევდარიანი, ს. ფირცხელიანი, გ. გელოვანი, ზ. ვიბლიანი, რ. გვარმიანი. ლ. კვიციანი, ი. გირგვლიანი,

<u>სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ:</u> შ. ცინდელიანი, ლ. ფალიანი, ი. რატიანი, დ. ნავერიანი, ი. ჯაფარიძე, ი. რატიანი, ლ. წერედიანი, ა. რატიანი.

<u>სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი თ. ნავერიანი.

<u>სხდომას თავმჯდომარეობდა</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჯაფარიძე.

<u>სხდომის მდივანი:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების მთ. სპეციალისტი მზია ნიგურიანი.

სხდომის დაწყებამდე საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის მიხედვით სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრიდან 23 დეპუტატი.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიესალმა და გააცნო დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. „მესტიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ს. კვიციანი. თანამომხსენებელი: რ. გვარმიანი./

2. „მესტიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის გეგმის შესრულების ანგარიშის შესახებ“

/მომხსენებელი: ს. კვიციანი. თანამომხსენებელი: რ. გვარმიანი./

3. „მესტიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ“.

/მომხსენებელი: ს. კვიციანი. თანამომხსენებელი: რ. გვარმიანი./

4. „მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების შპს. ,,აკვა ჰიდროსთვის“ აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

/მომხსენებელი: თ. გოშთელიანი. თანამომხსენებელი ვ. ნაკანი/

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ეყაროს კენჭი ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **20**21 წლის 25 ნოემბერი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“. წარმოდგენილი რედაქციით.

მომხრე----------23

წინააღმდეგი------0

თავი შეიკავა-------0

კენჭისყრის შედეგად საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

საკრებულომ დაადგინა: მიიღონ განკარგულება ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბერის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება №46 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. კვიციანმა „მესტიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა ისაუბრა ბიუჯეტის ცვლილებებზე. ცვლილებები ძირითადად ქონების გადასახადიდან შემოსულ ჭარბი თანხის გადანაწილებას შეეხო, ჭარბი თანხა შეადგენს 720 000 ლარს. (ცვლილებებზე განმარტებითი ბარათი თან ერთვის).

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა. რ. გვარმიანმა--კომისიამ განიხილა და შეისწავლა საკითხი, თანხის გადანაწილება ძირითადად მოხდა სტიქიის პრევენციის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------23

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, „მესტიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

დადგენილება მიღებულ იქნა
(დადგენილება №15 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. კვიციანმა „მესტიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის III კვარტლის ბიუჯეტის გეგმის შესრულების შესახებ“

მომხსენებელმა წარმოადგინა მესამე კვარტლის ბიუჯეტის გეგმა განსახილველად, აღნიშნა, რომ ბიუჯეტის განხილვა იმის მაჩვენებელია თუ რა შესაბამისობაშია ფაქტი გეგმასთან, ბიუჯეტის მესამე კვარტლის შემოსულობების გეგმა შეადგენს 17 480,9ათას ლარს, შესრულებამ ხაზინის მონაცემების მიხედვით შეადგენს 18 509,8 ათას ლარს, მესამე კვარტლის გადასახდელების გეგმა 25 228,6 ათასი ლარი, ათვისებული თანხა ხაზინის მონაცემების მიხედვით შეადგენს 18 645,5 ათასი ლარი. ისაუბრა მუხლობრივად გადახდილ თანხებზე და შესრულებებზე. (ანგარიში ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: რ. გვარმიანმა--საფინანსო კომისიამ განიხილა პროექტი, კომისიის წევრებს მიაჩნია, რომ გეგმის შესრულებაში მცირე ხარვეზი გამოწვეულია პანდემიიდან გამომდინარე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------20

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, „მესტიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის III კვარტლის ბიუჯეტის გეგმის შესრულების შესახებ“

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება №47 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. კვიციანმა „მესტიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ“

მომხსენებელმა წარმოადგინა ბიუჯეტის მონახაზი, 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობები შეადგენს 17 616,4 ათ. ლარს, ისაუბრა გეგმაზე და გადასახდელებზე. დამსწრე საზოგადოებას გააცნო 2022 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი, გადასახადების სახეების მიხედვით: გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებელია 125,0ათასი ლარი; სხვა შემოსავლების დაგეგმილი მაჩვენებელი განისაზღვრა 1 800 ათასი ლარით. გაზრდილია მესტიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელები მოცულობა 17 616.4 ათასი ლარით. აღნიშნული ზრდა გამოწვეულია ორი ძირითადი ფაქტორით: მესტიის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობბის და დაფინანსების გაზრდით და პანდემიის გამო საწვავის და სხვა ნედლეულის ფასების მომატებით. ისაუბრა მესტიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პრიორიტეტებზე. (განმარტებითი ბარათი თან ერთვის).

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა რ. გვარმიანმა--აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების მიერ განხილულ იქნა 2022 წლის ბიუჯეტი და წარმოადგინა გაერთიანებული კომისიების სხდომის შენიშვნები (სხდომის შენიშვნები თან ერთვის).

ზ. ჩართოლანმა-სამწუხაროა, რომ ბიუჯეტის პროექტს არ ახლავს ხარჯვითი ნაწილი ჩაშლილი ფორმით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------19

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ---- ზ. დევდერიანმა

კენჭისყრის შედეგად საკრებულომ დაადგინა: გაგზავნილ იქნას მესტიის მუნიციპალიტეტის მერიაში მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი სხდომის შენიშვნებით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხზე მოხსენება გააკეთა თ. გოშთელიანმა „მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების შპს. ,,აკვაჰიდროსთვის" აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ".

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკითხი შემოტანილი იყო წინა სხდომაზე განსახილველად, ვინაიდან ზოგი დეტალი გასარკვევი და შესასწავლი იყო გადაიდო მომდევნო სხდომაზე დასამტკიცებლად, საკრებულოს წევრები შეხვდნენ მოსახლეობას, მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით საკითხი მზადაა დასამტკიცებლად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------19-

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, „მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების შპს. ,,აკვაჰიდროსთვის" აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ".

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება №48 თან ერთვის)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილული იქნა.
სხდომა გამოცხადდა დახურულად.

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე